არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცესკოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ცესკოსა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის ბოლო რამდენიმე საარჩევნო ციკლია რაც ხორციელდება. მემორანდუმის ხელმოწერის ფასილიტაციას Ḍ□□□□□□□□ სისტემების საერთაშორისო ფონდი □ (IFES) უზრუნველყოფს. მიმდინარე წლის 27 აგვისტოს იგეგმებოდა მემორანდუმზე ხელმოწერა, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს შეუთანხმებელი საკითხები, რომლის ირგვლივაც მნიშვნელოვანია მსჯელობის გაგრძელება.

ტრადიციულად, მემორანდუმზე ხელმოწერით ხელმომწერი მხარეები ვთანხმდებით, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო

საქმის წარმოების დროს სწორედ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით ვიხელმძღვანელებთ. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის განმავლობაში, მემორანდუმმა, გარკვეულ წილად დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და გადაიქცა ფორმალურ პროცესად.

მემორანდუმზე შეთანხმება და მისი ხელმოწერა ქმნის არასწორ წარმოდგენას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს გვაქვს პოზიციების თანხვედრა და ერთნაირად გვესმის წინასაარჩევნო კამპანიასთან და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული გარკვეული ჩანაწერები, რაც პრაქტიკით დასტურდება, რომ ასე არ არის. მაგალითად, საკმაოდ პრობლემურია საარჩევნო ადმინისტრაციაში საარჩევნო დავების განხილვის პროცესი. საარჩევნო ადმინისტრაცია ვიწროდ განმარტავს კანონს, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს უკანასკნელი რიგ საკითხებთან მიმართებით შეგნებულად არიდებს თავს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. კერძოდ, ცესკომ ბოლო სარჩევნო ციკლის პერიოდში ვერ უზრუნველყო სოციალური ქსელების მეშვეობით განხორციელებული უკანონო აგიტაციის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება. მაგ: 2016 და 2017 წლების არჩევნებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების - მიხეილ საკაშვილის და ანდრეი შევჩენკოს მხრიდან აგიტაციაში მონაწილეობა და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე სოციალური ქსელების მეშვეობით საჯარო მოხელეთა მხრიდან სამუშაო საათების განმავლობაში აგიტაცია.

მიმდინარე წელს, მემორანდუმის ტექსტზე მუშაობისას, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მოვითხოვეთ სოციალურ ქსელებში აგიტაციაზე ჩანაწერის დამატება, რათა აღმოფხვრილიყო სოციალური მედიის მეშვეობით კანონდარღვევების შესაძლებლობა, რისი გაზიარებაც სამწუხაროდ, ცესკოს მხრიდან არ მომხდარა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ცესკო ვერ ახერხებს თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებას და კანონის სათანადო განმარტებას.

ამას ემატება ის ფაქტი, რომ რამდენიმე დღის წინ ცესკოს თავმჯდომარემ გამოიჩინა უპატივცემულო დამოკიდებულება სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიმართ და მან საიას კვლევას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების თემაზე Ḍ□□□□□□□□□□□□ □ და „არაპროფესიონალური“ უწოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიული სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიმართ მსგავს შეურაცხმყოფელ განცხადებას აკეთებს. 2014 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ Ḍ□□□□□□□□□□□ არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო

საზოგადოების □ მოწოდებას გადათვლილიყო კონკრეტული საარჩევნო უბნები, Ḍ□□□□□□□□□□□ შეცდომაში შეყვანის მიზანმიმართული მცდელობა □ უწოდა და ორგანიზაციას არაკომპეტენტურობაში დასდო ბრალი.

გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში ვაფიქსირებთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან აგრესიულ და მტრულ დამოკიდებულებას ჩვენი დამკვირვებლებისადმი. რაც საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის სულისკვეთების საწინააღმდეგოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მემორანდუმმა დაიბრუნოს თავისი მნიშვნელობა და გაგრძელდეს მასზე მუშაობა, ვფიქრობთ, რომ ცესკოს მხრიდან საჭიროა შესაბამისი ნების გამოვლენა, რათა:

1. სოციალურ ქსელებში აგიტაციასთან დაკავშირებით მოხდეს კანონის პროგრესული განმარტება;

2. საარჩევნო დავების განხილვა წარიმართოს სრულყოფილად და ობიექტურად;

3. საარჩევნო ადმინისტრაციამ პატივი სცეს ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და აიღოს პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყოფს მათი საქმიანობისთვის სათანადო პირობების შექმნას.

ხელმომწერი სადამკვირვებლო ორგანიზაციები გამოვხატავთ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის მზაობას, ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე დისკუსიის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პირობებში კონსტრუქციული და პროდუქტიული დიალოგის გაგრძელებისათვის, რათა ხელი შეეწყოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას საქართველოში.

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

2. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

3. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

4. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge